ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №241

14 დეკემბერი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარებისა და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული, გამოუყენებელი და უვარგისად ქცეული ქონების ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-მე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №31დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 6 მარტის №53 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 2012 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიბლიოთეკებიდან ამოღებული ლიტერატურის 2012 წლის 14 დეკემბრის №1; №2; №3; №4; №5; №6; №7; №8; №9 ჩამოწერის აქტი (თან ერთვის).
2. ჩამოიწეროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში არსებული, გამგეობის ბალანსზე რიცხული ყოფილი ბიბლიოთეკების წიგნადი

ფონდის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ამორტიზირებული, გამოუყენებელი და უვარგისად ქცეული ლიტერატურა თანახმად 2012 წლის 14 დეკემბრის №1; №2; №3; №4; №5; №6; №7; №8; №9 ჩამოწერის აქტისა.

3. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (ლ. იმედაშვილი) ჩამოწერის შედეგად მიღებული ლიტერატურიდან 460 კგ წიგნის ნედლეულის მეორადგადამამუშავებელ ორგანიზაციაში ჩაბარების უზრუნველყოფა.
4. დაევალოს საინვენტარიზაციო კომისიას ჩამოწერის შედეგად მიღებული ლიტეტრატურიდან 510 კგ წიგნის განადგურება.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ჩამოწერის შედეგად მიღებული ლიტეტრატურიდან 510 კგ წიგნის (რომელიც არ ექვემდებარება გადამუშავებას) განადგურდების ტექნიკურად უზრუნველყოფა.
6. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსს ზ. ჩანტლაძე მუნიციპალური ქონების სააღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილების გატარება.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მისამართი: ჭავჭავაძის ქ. №4
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი ედიშერ ჯიბუტი